

ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

ოქმი №3

ქალაქი ქუთაისი
30 ივლისი, 2018 წელი
ქუთაისის ტურიზმის ცენტრის საკონფერენციო დარბაზი

სხდომას ესწრებოდნენ:

1. ნოდარ ჯიქია - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალის პროგრამების დირექტორი;
2. თემურ ამყოლაძე - მწერალი;
3. ინგა აბრამიძე - აკადემიური წრის წარმომადგენელი;
4. ალექსანდრე ჩინჩალაძე - ბიზნესის წარმომადგენელი;
5. მამუკა თევდორაძე - ბიზნესის წარმომადგენელი;
6. შოთა გვენეტაძე - ააიპ სარაგბო სკოლა "აიას" დირექტორი;
7. მეგი ნიჭარაძე - ბიზნესის წარმომადგენელი;
8. ხვიჩა ვაშაყმაძე - ქუთაისის საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი;
9. თეონა გოგიშვილი - სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების რეგიონალური კოორდინატორი;
10. ნუგზარ კოხრიძე - სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი "თაობათა დიალოგი" თავმჯდომარე;
11. ნინო ხუხუა - ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს ადმსრულებელი დირექტორი;
12. ბენია თხილავა - მეცნიერ-სპეციალისტთა და ჟურნალისტთა სამეცნიერო-შემოქმედებითი კავშირ "ინტელექტი"-ს პრეზიდენტი;
13. ქეთევან ბერძენიშვილი - არასამთავრობო ორგანიზაცია უფლებებისა და განათლებისათვის;
14. ლუტუმა (დიმიტრი) კვანტალიანი - ბიზნესის წარმომადგენელი;
15. ლევან როხვაძე - თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარე;
16. ომარ კიკვიძე - აკადემიური წრის წარმომადგენელი;

რეგისტრაციის შედეგად სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს 21 წევრიდან საბჭოს სხდომას ესწრებოდა 16, არ ესწრებოდა 5.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების 4.8 მუხლის თანახმად საბჭო გადაწყვეტილება უნარიანია, რადგან მასში სიითი შემადგენლობის 2/3 მეტი წევრი მონაწილეობდა.

სხდომას უძღვებოდა: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ნინო თვალთვაძე.

სხდომაზე მოწვეულები იყვნენ:

ზურაბ ხურციძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველი;

მამუკა კუბლაშვილი - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველი;

დავით სინაურიძე - ქალაქ ქუთაისის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობის და დასუფთავების სამსახურის მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

სხდომის თავმჯდომარემ ნინო თვალთვაძემ წარმოადგინა სხდომის დღის წესრიგი, რომელიც სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მიერ ერთხმად იქნა მიღებული.

დღის წესრიგი

საკითხი 1. მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის არჩევა

საკითხი 2. მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევა

საკითხი 3. მრჩეველთა საბჭოს მდივნის არჩევა

საკითხი 4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის პროექტის განხილვა (მომხსენებელი დავით სინაურიძე - ქალაქ ქუთაისის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობის და დასუფთავების სამსახურის მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი).

აზრი გამოთქვას:

ნუგზარ კობრიძე: წარადგინა ნოდარ ჯიქიას კანდიდატურა თავმჯდომარის პოზიციაზე.

ქეთევან ბერძენიშვილი და ბენია თხილავა: მხარი დაუჭირეს ნოდარ ჯიქიას კანდიდატურას.

გაიმართა ღია კენჭისყრა: სულ კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 16-მა წევრმა; 15 - მომხრე; 1 - თავი შეიკავა.

ნუგზარ კობრიძე: წარადგინა თავმჯდომარის მოადგილის პოზიციაზე ინგა აბრამიძის კანდიდატურა.

გაიმართა ღია კენჭისყრა: 16 - მომხრე (ერთხმად).

ნოდარ ჯიქია: წარადგინა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მდივნის პოზიციაზე ნუგზარ კობხრიძის კანდიდატურა.

გაიმართა ღია კენჭისყრა: 16 მომხრე (ერთხმად).

მოისმინეს: “ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის პროექტის” შესახებ ინფორმაცია და მისი განმარტებები. მომხსენებელი დავით სინაურიძე - ქალაქ ქუთაისის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობის და დასუფთავების სამსახურის მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

აზრი გამოთქვას:

ხვიჩა ვაშაყმაძე: მიეცეოს ყურადღება იმ პირებს, რომლებიც ფასადის გამოჩენის მიზნით ჭრიან ხეებს.

ქეთი ბერძენიშვილი: მიეცეოს ყურადღება იმ გარემოებას, რომ შუქნიშნებს, საგზაო ნიშნებს და მანიშნებელ აბრებს ფარავს ტოტები.

ნოდარ ჯიქია: მიეცეოს ყურადღება წესის აღსრულების მექანიზმს.

ნინო ხუხუა: მოხდება თუ არა პერიოდული მონიტორინგი და ვინ განახორციელებს მას? უმნიშვნელოვანესია მოსახლეობის ინფორმირება აღნიშნული წესით აკრძალულ ქმედებებზე, რომელიც თავის მხრივ ფულად სანქციასაც ითვალისწინებს, კარგი იქნება თუ მერის წარმომადგენლების, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თავმჯდომარეების რესურსი გამოყენებული იქნება და მათი მეშვეობით ხმას მივაწვდენთ საზოგადოების უფრო ფართო ფენებს. ასევე მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახური გარკვეული პერიოდულობით (მაგ: 3 თვეში ერთხელ) მონიტორინგს ახორციელებდეს მიმდებარე ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების უკანონო ჭრასთან დაკავშირებით და ა.შ. წინააღმდეგ შემთხვევაში მოქალაქეთა იმედად ყოფნა, რომ მათი მომართვიანობის შედეგად მოახდენენ მსგავსი ფაქტების იდენტიფიცირებას ვერ იქნება ეფექტური. მნიშვნელოვანია გაკეთდეს დათქმა, (მაგ: 2019 წლისთვის) როდისთვის იქნება მუნიციპალიტეტს აღრიცხული მის ტერიტორიაზე განთავსებული ხეები (წითელი ნუსხის) /სკვერები/(კლასიფიკაციის მიხედვით), ეს არის ის საკითხი, რომელიც ძალიან სწრაფად არის მოსაგვარებელი, წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული აქტის პრაქტიკაში ეფექტურად იმპლემენტირებასაც შეუშლის ხელს.

ხვიჩა ვაშაყმაძე: მოხდეს დაჯარიმებული პირის შესახებ ინფორმაციის გავრცელება, რომ მოსახლეობამ გაიგოს საჯარიმო სანქციებზე.

ნოდარ ჯიქია: 27 მუხლის მე-6 პუნქტთან დაკავშირებით მოხდეს მოქმედი კანონმდებლობის დაზუსტება.

მომხსენებელი დავით სინაურიძე: წესში სრულად გაწერილია წესები და ნორმები, საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით მოხდება გადაბეღვა და სხვა პროცედურები. ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახური არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე და საჯარიმო სანქციებზე.

ნოდარ ჯიქია: საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოს წევრების მიერ წარმოდგენილი წინადადები და რეკომენდაციები 2 აგვისტოს 18:00 საათამდე წერილობით მიეწოდოს საბჭოს სხდომის მდივანს ოქმზე დასართავად.

დაადგინეს: სამოქალაქო მრჩეველთა საბჭომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის პროექტი მოიწონა და რეკომენდაცია მიეცა მერს შემდგომი რეაგირებისათვის წარადადგინოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში.

დაადგინეს: საბჭოს მიერ მიღებული იქნა ნოდარ ჯიქიას წინადადება 2 აგვისტოს 18:00 საათამდე საბჭოს წევრებს საკუთარი რეკომენდაციები და შენიშვნები წერილობით წარმოედგინათ საბჭოს მდივნისთვის, საბჭოს სხდომის ოქმზე დასართავად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, სხდომა დასრულებულად გამოცხადდა.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე  ნოდარ ჯიქია

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მდივანი  ნუგზარ კობრეიძე